საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

რატომ უჭირთ საკლასო აქტივობებში ჩართულ მერვე კლასის მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულება მათემატიკაში?

.

ირმა ვალიშვილი

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის N3 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

2019 წელი

სარჩევი

1.შესავალი 3

2.ლიტერატურული მიმოხილვა 5

3. კვლევა 13

3.1 საკვლევი საკითხები 13
3.2 სამიზნე ჯგუფი 13
3.3 კვლევის მეთოდები 13
3.4 კვლევის შედეგები 14
3.4 მონაცემთა ანალიზი 19

4. 4. ინტერვენციების დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და ანალიზი..... 20

5. დასკვნები და რეკომენდაციები 23

6. ბიბლიოგრაფია 24

7. დანართები 25

რეფლექსია 27

1. შესავალი

წინამდებარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზანია გამოვიკვლიო ძირითადი პრობლემები, რომელიც მოსწავლეების წინაშე დგება საშინაო დავალების შესრულების დროს, დავეხმარო მათ რომ საშინაო დავალების შესრულება არ იყოს მათთვის დასჯა და გავაუმჯობესო დავალების შესრულების ხარისხი.

საშინაო დავალება, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების საფეხურზე, სწავლების სავალდებულო ნაწილია. მისი შესრულება მოსწავლეთა ყოველდღიური პასუხისმგებლობაა. მოსწავლისათვის საშინაო დავალების შეასასწავლი მასალის გამყარების, სასწავლო გეგმის სრულყოფილად დაფარვის, ჯგუფის პროგრესის შეფასების ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, ის დამატებით სამუშაო საათებად, თავსატეხად და მოსწავლეების უკმაყოფილების საბაბად შეიძლება გადაიქცეს. დადებით ჭრილში, მშობლისთვის საშინაო დავალება შეიძლება განვიხილოთ შვილის აკადემიური პროგრესის მონტორინგის, სასწავლო პროცესში ჩართვის, შესაძლებლობად. საშინაო დავალება მშობელს ინფორმაციას აწვდის ბავშვის აკადემიური განვითარების, მის წინაშე მდგომი სირთულეების და მისი წარმატებების შესახებ.

განათლების სპეციალისტებს, ექსპერტებსა და პოლიტიკის შემმუშავებლებს შორის აზრთა სხვადასხვაობებს ვხვდებით. ერთნი თვლიან, რომ საშინაო დავალება მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გამძაფრებას უწყობს ხელს, რადგან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელ ბავშვებს იმის შესაძლებლობა არა აქვთ, რომ მშობლები დაიხმარონ დავალების შესრულებაში, არა აქვთ იზოლირებული და კომფორტული სამუშაო სივრცე სახლში, ტექნოლოგიური საშუალებები (კომპიუტერი, ინტერნეტი), რომელთა გამოყენებასაც დღეს , ხშირად ითვალისწინებს საშინაო დავალების ფორმატი. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება სწორედ მოსწავლეების ინდივიდუალური მუშობის სწავლის და მოსწავლის მიერ მუშაობის სასურველი ტემპის შერჩევის შესაძლებლობებს გვთავაზობს.

მოსწავლეები რომ საშინაო დავალების შესრულებას გულგრილად ეკიდებიან, უკვე დიდ ხნის პრობლემაა არამარტო მათემატიკაში, არამედ სხვა საგნებშიც. ნებისმიერ საგანში მოსწავლეს უნდა შეეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამიტომ მასწავლებელი არამარტო ცოდნას უნდა გადასცემდეს მოსწავლეებს, არამედ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენაბასაც უნდა ასწავლიდეს მათ. ამის გარანტი კი საშინაო დავალების დამოუკიდებლად და ხარისხიანად შესრულებაა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2018-19 სასწავლო წლის ბოლოს ჩვენი სკოლა ჩაერთო „ახალი სკოლი“ პროექტის ფარგლებში 50 სკოლასთან ერთად. ამ პროექტის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ კომპლექსური საშინაო დავალება, რაც ითვალისწინებს ერთი რომელიმე საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. ასეთი დავალებები მათი შემოქმედებითი უნარების წარმოჩინებას და განვითარებას უწყობს ხელს. კეთებით სწავლების დროს მოსწავლეებს უკეთ უყალიბდებათ მკვიდრი წარმოდგენები.

ეს პროექტი დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასებს მოიცავს, მაგრამ მომავალი წლიდან საშუალო საფეხურის ჩართვაა დაგეგმილი. საშინაო დავალების შესრულება უფრო ხალისიანი და საინტერესო გახდება. ასეთი ტიპის სწავლებით მოსწავლე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას შეძლებს.

2. ლიტერატურული მიმოხილვა

საშინაო დავალება სწავლა-სწავლების ნაწილია, იქნება ეს წერილობით შესასრულებელი თუ ზეპირად სასწავლი. თუ მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე. შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს (Newmann, 1986). ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ.

ყურადღებას გავამახვილებ წერით დავალებაზე, რომელსაც მასწავლებლები გარკვეული მიზნით იყენებენ.
გარკვეული თემის ან ნაწარმოების შესწავლა გულისხმობს გააზრებასა და უნარების განვითარებას. ახალი უნარის უკეთ გასააზრებლად საჭიროა, სწორად განაწილდეს მოსწავლეთა დრო. როგორც წესი, დამახსოვრება-გააზრება და განმტკიცება გარკვეული ხნის განმავლობაში მიმდინარე მიზანმიმართულ პრაქტიკასაც უკავშირდება. ამ დროს სავარჯიშოების/დავალებების მეშვეობით საჭიროა ცოდნის განმტკიცება როგორც კლასში, ისე სახლში, სწორედ ამიტომ ვაძლევთ მოსწავლეებს საშინაო დავალებას, რომლის საჭიროებაც გაკვეთილზე იკვეთება. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს მოსწავლეები ათვისებულ მასალას უკეთ იაზრებენ.

საშინაო დავალების არსი მდგომარეობს შემდეგში: მოსწავლეები განიმტკიცებენ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, საშინაო დავალება მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, თვალ-ყური ადევნონ შვილის სასკოლო საქმიანობას. საშინაო დავალება მოსწავლეებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და არაპირდაპირ ასწავლის დროის მენეჯმენტს, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში.

მეცნიერების აზრით, მოსწავლეებისთვის მიცემული საშინაო დავალება კლასების შესაბამისად და გონივრულად უნდა იყოს შერჩეული, რათა მოსწავლეს დარჩეს საკმარისი დრო თანატოლებთან თამაშისა და მშობლებთან ურთიერთობისთვის. ფსიქოლოგების აზრით, პატარა ბავშვებისთვის თამაში არ არის მხოლოდ გართობა, არამედ ეხმარება მათ, პრაქტიკაში შეიმეცნონ სამყარო.

თანამედროვე კვლევებმა დაადასტურა ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა ბავშვებში. რაც გულისხმობს, გააცნობიერო შენი და სხვების ემოციები, სწორედ ამაზეა დამოკიდებული შემდეგი წარმატება. თუ მოსწავლე სულ წიგნებშია ჩაფლული, მას აღარ რჩება დრო გააცნობიეროს თავისი და სხვების ემოციები, რაც ხელს უშლის მის განვითარებას.

ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო დავალებებს იმ მოსწავლეებს აძლევენ, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. სხვა ქვეყნებში ბავშვებს საშინაო დავალება დამატებითი ვარჯიშისათვის ეძლევათ. ამის გამო, კვლევები საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ შერეულ შედეგებს გვაწვდის (Cooper, Robinson & Patall, 2006; Trautwein, 2007).

საინტერესოა, როგორი მიდგომაა საშინაო დავალებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკის საგანმანათლებლო ასოციაციის ექპერტებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე პირველ კლასში მეცადინეობას უნდა უთმობდეს 10 წუთს. II კლასში – 20 წთ; III-IV – 30 წთ; V-VI – 1 საათს; VII კლასში და ზემოთ- 2 საათი.
ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ. საფრანგეთში მიმდინარე წლამდე დამკვიდრებული იყო კვირაში 4-დღიანი სასწავლო კვირა (8:30-დან 16:30-მდე). ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის მიხედვით, იგეგემება 5-დღიან სწავლაზე გადასვლა და საშინაო დავალების გაუქმება. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება მოსწავლეების უთანასწორო მდგომარეობას ასახელებს. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც სახლში სამუშაო პირობები ან მშობლის დახმარება არ აქვთ, საშინაო დავალება არა ცოდნის გაღრმავების, არამედ აკადემიური რეგრესის წყარო ხდება. ამდენად, საფრანგეთში, ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, დავალებებს მოსწავლეები სკოლაშივე, აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დამხმარე გაკვეთილებზე შეასრულებენ.

ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმცროს კლასელი მოსწავლეები დავალებისგან ვერ იღებენ სარგებელს (კუპერი, 2001). ამ გავრცელებული მიდგომისაგან განსხვავებით, გერმანიაში პირველივე დღიდან აქვთ ბავშვებს საშინაო დავალება შესასრულებელი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა. იაპონიაში აკადემიური სწავლება დღეში 6 საათს გრძელდება, საზაფხულო არდადეგები 6-კვირიანია, ხოლო ზამთრის არდადეგები – 2-კვირიანი. იაპონელ მოსწავლეებს დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არდადეგების პერიოდის ჩათვლით. აშშ-ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო. მისი შემოღება ცივ ომს უკავშირდება. სკოლის მოსწავლეების მიმართ მოლოდინები გაიზარდა და ქვეყანამ მიზნად დაისახა რუსული სკოლების აკადემიური მიღწევებისთვის გადაეჭარბებინა. საშინაო დავალების სავალდებულო ხასიათი დღემდე შენარჩუნებულია. 2007 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ საშინაო დავალების მოცულობა იზრდება და ამჟამად მისი შესრულება, საშუალოდ, დღეში სამ საათზე მეტ დროს მოითხოვს.
კვლევებით დადგენილია, რომ საშინაო დავალებების შესრულება ყველაზე შედეგიანია უფროსკლასელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას კვირში 5-10 საათს უთმობენ. იმავეს თქმა შეიძლება საბაზისო საფეხურის მოსწავლეებზეც. ნაკლებად შედეგიანია ის უმცროს კლასელთათვის (აქ ყურადღება უნდა მიექცეს დავალების მოცულობას, შინაარსობრივ სირთულეს და ა .შ.). მაგრამ, როდესაც საშინაო დავალება ესადაგება მოსწავლის შესაძლებლობებს და ოჯახიც პასუხისმგებლობით ეკიდება ამას, ამ დროს ხდება ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარება, როგორიცაა მიზან მიმართულობა და ორგანიზებულობა. მაგრამ ისიც

უნდა ითქვას, რომ ეს უნარები ვითარდება მხოლოდ მაშინ, თუ უფროსები ასრულებენ გეზის მიმცემის, დამხმარის და არა დავალების „შემსრულებლის" როლს. ასე რომ, სიღრმისეული სწავლისა და მოსწავლეთა პროგრესის შეფასების მნიშვნელოვან კომპონენტს საშინაო დავალება წარმოადგენს. არის თუ არა საშინაო დავალება ეფექტიანი? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ არსებობს.

მკვლევრების აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კარგად არის ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. საშინაო დავალების ეფექტურობა მოსწავლეთა ასაკთან ერთად მატულობს. TIMSS-ის მიხედვით, მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებას დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობენ. შეფასების სიხშირე და სწავლების ფორმატი სასკოლო პედაგოგიკის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს.

რა ხდება ჩვენთან, საქართველოში? რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებასთან? რა უარყოფით შედეგებს ვიღებთ არასწორად შერჩეული საშინაო დავალების შედეგად?

ერთი სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებსა და მშობლებში ჩავატარეთ კვლევა, თუ რა დროს ანდომებენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები საშინაო დავალების შესრულებას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შესრულების დრო დამოკიდებულია დავალების სირთულესა და მოცულობაზე. თუმცა მაინც დიდი დრო დასახელდა. განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე ბავშვებს აღარაფრის დრო არ რჩებათ.

ალბათ გსმენიათ განაწყენებული მშობლების წუხილი შვილების დავალების მოცულობასა და რაოდენობაზე. აქვე სირთულეც იჩენს თავს და თავბრუდახვეული ოჯახის წევრები თავს ვერ ართმევენ საშინაო დავალების შესრულებას. ხშირად, მეგობრებისგან მეც მომისმენია ერთგვარი „წუხილი", რომ საღამოს დრო არ აქვთ იმიტომ, რომ ბავშვები უნდა ამეცადინონ და რომ ეს ყოველდღიურ რუტინად იქცა მათ ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მათმა შვილებმა სკოლის კარი შეაღეს. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს გვყავს სანაცნობო წრეში მშობლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საშინაო დავალებების მომზადებაში, ალბათ ოჯახების უმრავლესობაში თითქმის ყოველდღე ისმის შეკითხვა: ,,დაიწყე მეცადინეობა? მე რა გითხარი? რანაირად დაწერე? რა ქენი, იმეცადინე? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთი და იგივე?", ხშირად ეს ყვირილსა და ჩხუბში გადაიზრდება, წამოიჭრება პრობლემა – ერთ მხარეს დგას შეშინებული, დათრგუნული ბავშვი, მეორე მხარეს – შეწუხებული მშობელი.

რა ხდება მასწავლებლების მხარეს?

ზოგი მათგანი კლასში თუ ვერ მოასწრებს ახსნილი საკითხის ირგვლივ სავარჯიშოების შესრულებას, შინ შესასრულებლად უამრავ საკითხს აძლევს და არ ითვალისწინებს სირთულესა და ოდენობას, მთავარია, ,,სრულყო'' მასალა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეს მხოლოდ ერთ საგანში არ აქვს საშინაო

დავალება შესასრულებელი და ასე შეიძლება 5 მასწავლებელი მოიქცეს. რა დააშავა ბავშვმა ან ოჯახმა? ასეთ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ასწრებს დავალების შესრულებას, უპასუხისმგებლობასა და სიზარმაცეში რომ არ ჩაეთვალოს, იძულებულია, მეორე დღეს გადაიწეროს სხვა მოსწავლისგან ან საერთოდაც არ დაესწროს იმ გაკვეთილს. სამაგიეროდ, ის შედეგი, რომელიც მასწავლებელს ჰქონდა გათვლილი, მიუღწეველი რჩება. გარდა ამისა, ეს იწვევს მოსწავლეთა გაღიზიანებას, გულის აცრუებას სწავლაზე, მოტივაციის დაქვეითებას, მოსწავლეები ამ დროს ფიქრობენ, რომ მთავარია შესრულება და არა შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ხშირად მოსწავლეები იმასაც ჩივიან, რომ მასწავლებელმა საშინაო დავალება მისცა, ბევრი შრომისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, შეასრულეს, მაგრამ მასწავლებელმა აღარ შეამოწმა. რა თქმა უნდა, ამ ფორმას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, რადგან, დავალებას, რომელიც გასწორდა, ბევრად უფრო დადებითი გავლენა აქვს მოსწავლის მოსწრებაზე. ამიტომ თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოცულობა იყოს მცირე და ის გასწორდეს, ვიდრე იყოს დიდი და არ გასწორდეს. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ მასწავლებელმა მისცეს უკუკავშირი შესრულებულ საშინაო დავალებაზე, აუცილებელი არ არის ნიშანი დაუწეროს, აუხსნას რა შეასრულა და რა ვერ შეასრულა კარგად, ან დაუწეროს კომენტარი. ყოველდღიურად გასწორებული დავალება ამაღლებს მოტივაციასა და ეფექტიანობას. ისიც მისაღებია, რომ საშინაო დავალება იყოს ინდივიდუალური, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ზუსტი და მკაფიო ინსტრუქციით.

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა საშინაო დავალების ეფექტურობისთვის?

გაითვალისწინოს რაოდენობა, წინასწარ განსაზღვროს და დაგეგმოს დავალება ისე, რომ მოსწავლის პოტენციალი მაქსიმალურად აამუშაოს, რათა მიაღწიოს შედეგს და უფრო მეტიც, სიამოვნებით იმუშაოს მოსწავლემ. არ არის აუცილებელი ყოველდღე საშინაო დავალების მიცემა. სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, შემდეგ გაკვეთილზე ამ დავალების შემოწმებას მოვახერხებთ. როჯერსის მოლოდინის თეორიის მიხედვით, მასწავლებლების მოლოდინი გავლენას ახდენს მოსწავლეების მუშაობის ხარისხზე, სწავლის მოტივაციასა და მათ განწყობაზე წარმატებისა და მარცხის მიმართ. ისინი მასწავლებელთა მოლოდინის მიხედვით იქცევიან. მოსწავლეები სამუშაოს ასრულებენ მასწავლებლის მოლოდინის შესაბამისად. ნუ განსჯით მოსწავლეებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის, რადგან ამით გამოხატავთ თქვენს მოლოდინს (მაღალი, დაბალი). ეცადეთ, გაამხნევოთ თქვენი მოსწავლეები და მისცეთ სტიმული, საუკეთესო კუთხით წარმოადგინონ თავიანთი ნიჭი და უნარი საშინაო დავალების შესრულებისას.

ყოველ ახალ დავალებას მოსწავლე ახალ ნიშნულამდე უნდა აჰყავდეს, უნდა ზრდიდეს მისი ცნობისმოყვარეობის სურვილს. შესრულებული დავალების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება, თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევის, ორგანიზებისა და შეფასების პროცესში. ან დავალების შემოწმებისას

ჩავატაროთ კვლევა, რა გაუჭირდათ, რამდენ მოსწავლეს, რა კარგად შეასრულეს, რამდენმა მოსწავლემ, რა ვერ შეასრულეს, რამდენმა მოსწავლემ. ეს კი უფრო ნათლად დაგვანახებს, მივაღწიეთ თუ არა მიზანს. ან რას შევცვლიდი გასაუმჯობესებლად.

საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეს ჩვევაში უნდა გადაეზარდოს. თუმცა დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია მისი გარეგანი და შინაგანი მოტივაციის შექმნა, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, დამოკიდებულება, მოთხოვნილებები, თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

შემოწმება ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში, მისი მეშვეობით ისინი აცნობიერებენ, რა იციან, რას მიაღწიეს და რა უნდა გააუმჯობესონ. სწავლა კეთებისა და უკუკავშირის პროცესში მიმდინარეობს.
დაბოლოს, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც უპასუხებს კვლევით გამოვლენილ რეალურ საჭიროებებსა და პრობლემებს, უზრუნველყოფს საგნის სწავლების სრულყოფას სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე. დავალებების მიცემა გაკვეთილის ყველაზე რთული ნაწილია არა მარტო იმიტომ, რომ მოსწავლეებს დავალებები არ უყვართ. პრობლემები რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ისეთი დავალებების მიცემა, რომლის მსგავსიც კლასში მათ უკვე შეასრულეს.

მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ საშინაო დავალება აუცილებელი და მნიშვნელოვანია მათთვის და ის მხოლოდ თავისუფალი დროის შესავსებად არ არის მოგონილი. მასწავლებელმა ბავშვს ისეთი საშინაო დავალება უნდა მისცეს, რომ მას ერთი სული ჰქონდეს, მივიდეს სახლში, ისადილოს და დავალება შეასრულოს. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მასწავლებელი მისცემს საინტერესოდ ფორმულირებულ დავალებას, რომელიც განწყობას შეუქმნის, მოიძიოს ახალი და ორიგინალური ინფორმაცია, და გამოთქვას საკუთარი აზრი. მასწავლებელმა მოსწავლეს ინტრიგა უნდა დაუტოვოს, რათა მან თვითონ დაიწყოს ძებნა. სკოლაში შეიძლება ეს პატარა დოზით გაკეთდეს, მოსწავლეს ის დავალება დაამახსოვრდება უფრო კარგად და იოლად, რომელზეც თვითონ იპოვის პასუხს.

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მასწავლებელს დიდი დაფიქრება მართებს საშინაო დავალების სწორად შერჩევისას, რათა ეს პროცესი დასჯად არ იქცეს, ხოლო მშობელმა კარგად უნდა გაიაზროს თავისი ფუნქცია, რა დოზით დაეხმაროს შვილს.

ვფიქრობ, ზემოთ გამოთქმული რეკომენდაციები (პასუხისმგებლობის გამომუშავება, წესებისა და პროცედურების შემუშავება, სამუშაო სივრცის სწორად ორგანიზება, სასაუბრო ლექსიკიდან ნეგატივის გამორიცხვა და სხვა) რომლებსაც განათლების სპეციალისტები და ფსიქოლოგები გვათავაზობენ, დაგეხმარებათ მეტ-ნაკლებად გადაჭრათ აქტუალური პრობლემები.

წყარო: mastsavlebeli.ge

https://edu.aris.ge/news/sashinao-davaleba-dasdja-ar-aris-rekomendaciebi-mshoblebsa-da-maswavleblebs.html (შემოწმებულია 4.04.2019 წელი)

ჰონგ-კონგში, ტაივანსა და იაპონიაში, სადაც მათემატიკის სწავლის კუთხით მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, საშინაო დავალებას ძალიან ცოტას აძლევენ. ასევეა ნიდერლანდებში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჰოლანდიელი მოსწავლეებისთვის, მათემატიკის ცოდნით მსოფლიო ტოპ-ათეულში შესულიყვნენ.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებებს არ აძლევენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს არაეფექტურია.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯერალდ კეი ლეტენდრე (Gerald K. LeTendre) კოლეგებთან ერთად ბოლო ათწლეულების განმავლობაში სწავლობდა, თუ როგორ აისახება ბავშვების განათლების დონესა და მოსწრებაზე საშინაო დავალების მოცულობა. კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგი: ყველაზე ბევრ საშინაო დავალებას აძლევენ ბავშვებს სუსტი ეკონომიკისა და აშკარად გამოხატული სოციალური უთანასწორობის მქონე ქვეყნებში. თუმცა არ არის არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ დატვირთვის ასეთი დონე პოზიტიურ გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებასა და განათლებაზე.

• მშობელთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვები, რომლებიც საშინაო დავალებას პატარაობიდან ასრულებენ, ეჩვევიან დისციპლინასა და დამოუკიდებლობას და შემდეგ ცხოვრებაში დიდ წარმატებებს აღწევენ. ამასთან, აშშ-ში დაახლოებით 1890-1920-იან წლებში საშინაო დავალებებში ასეთ ღრმა აზრს ვერ ხედავდნენ. საშინაო დავალება სასჯელის სახით გამოიყენებოდა — ამით ბავშვს თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ.

• უფრო მეტი, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დავალების დიდი რაოდენობის გამო, მათი შესრულების ნიადაგზე ბავშვებსა და მშობლებს შესაძლოა კონფლიქტი მოუვიდეთ. ასეთ შემთხვევებში საშინაო დავალება მხოლოდ უარყოფით ემოციებს გამოიწვევს და ეს სწავლაში არანაირ წარმატებას არ მოიტანს.

უკავშირდება თუ არა საშინაო დავალება და მაღალი მოსწრება ერთმანეთს? პასუხი ნათელია — არა. მთლიანობაში, მსოფლიოში საშინაო დავალება მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს. იმის უარყოფა, რომ საშინაო დავალება დღეს მსოფლიო ფენომენია, უაზრობაა. მეოთხეკლასელების მხოლოდ 7%-მა დაადასტურა, რომ სახლში დავალებას არ აძლევენ. საშინაო დავალება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისთვის საშუალო და მაღალ კლასებში.

ჩინელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საშინაო დავალებაზე დახარჯული ორი საათი დღეში აუცილებლად იწვევს ძილის დარღვევასა და სტრესს. მთელ

მსოფლიოში მეოთხეკლასელების თითქმის 10%-მა დაადასტურა, რომ საშინაო დავალებას ყოველდღე რამდენიმე საათს ანდომებს.
მასწავლებელმა თითოეულ კლასთან ცალკე უნდა გაარკვიოს, განიხილოს მშობლებთან და მოსწავლეებთან, ძალიან ხომ არ არიან ისინი დატვირთული საშინაო დავალებებით. უნდა დარწმუნდეს, რომ დავალება ნამდვილად დადებით გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებასა და, მთლიანად, სასწავლო პროცესზე.
https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efeqturia-saSina-davaleba.html (შემოწმებული 27.02.2019წ)

სკოლაში მოცემული საშინაო დავალებები, ალბათ დადებითად ცოტას თუ გაახსენდება. რეალურად სკოლის შემდგომ შესასრულებელი დავალებები მოცემული ფორმატით, არაერთმა პრაქტიკამ და კვლევამ დაადასტურა. რომ არ არის ზოგადი განათლების მიწოდების შესაბამისი მეთოდი.

ამ შემთხვევაში არ იგულისხმება დავალების საერთოდ არ მიცემა, არამედ შეიძლება საშინაო დავალებას მიეცეს ისეთი ფორმა, რომელიც გახდება მოტივაცია ბავშვისთვის. ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ იმ საკითხს, რომ 6-7 წლის ბავშვისთვის სკოლაში გატარებული 6 საათი, შესრულებული აქტივობები, დახარჯული ენერგია და მიღებული ინფორმაცია საკმარისია ერთი დღისთვის და სახლში დაბრუნებულ მოსწავლეს უწევს საშინაო დავალებების შესრულება, რაც გარკვეულწილად სტრესთან არის დაკავშირებული, რასაც ახლავს უმრავლეს ქვეყნებში გავრცელებული ე.წ ვალდებულება, რომ მოსწავლე იდეალურად უნდა ასრულებდეს დავალებას, ყველა წესის დაცვით.

ფსიქოლოგი მასწავლებელი და მკვლევარი, ლინ კოლინზი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, თვლიდა, რომ მათი შვილებისთვის დავალების შესრულება იყო აუცილებელი მათივე მომავლისთვის, მაგრამ 20 წლიანი დაკვირვების შემდეგ, აზრი საბოლოოდ შეიცვალა.

რატომ არ მუშაობს საშინაო დავალებების ტრადიციული მოდელი?

უპირველეს ყოვლისა დავალებები კლავს ზოგადი განათლების მიღების ბუნებრივ სურვილს. მთავარი არგუმენტი დისციპლინა, წესრიგი და პასუხისმგებლობის გრძნობაა, რომ საშინაო დავალება აღნიშნული თვისებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მართალია, სკოლაში არსებული წესრიგი დავალების შესრულება და სხვა ვალდებულებები, ბავშვს ამზადებს სისტემის შეურიგებლობასთან შესაგუებლად. საშინაო დავალებების შემდგომ ბავშვებს აღარ აქვთ მოტივაცია, დრო და ენერგია რომ თავისუფალი ზოგადი ინფორმაცია მიიღონ ინტერესისამებრ.

ფინური განათლების მოდელის პოლიტიკის თანახმად, ბავშვებს დაწყებით კლასებში საერთოდ არ აძლევენ დავალებებს, სწავლა ძირითადად დამოკიდებულია თამაშის სახალისო ტექნიკებზე, რაც საკმაოდ კარგად მუშაობს.

და მაინც სად არის სწორი პასუხი?

განათლების მიღების გზა მხოლოდ სკოლა რომ არ არის, ფაქტია. საგანი უნდა შეიცავდეს ისეთ აქტივობას რომელიც ბავშვს ინტერესს და მოტივაციას უღვიძებს, მაგალითად დოკუმენტური ფილმები და მულტფილმები. კლასგარეთ გაკვეთილები, სხვა და სხვა ინტერაქციული თამაშები, დავალების შესრულება ძირითად შემთხვევაში არის სწორხაზოვანი ლიმიტირებული და შეზღუდული თავისუფლების, ყველა მოსწავლე ვალდებულია მაღალი შეფასების მისაღებად ჰქონდეს, დირექტივის იდენტური პასუხი. რაც ბავშვს ინდივიდუალიზმს და თავისუფლებას უზღუდავს, რაც შემდგომ შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

სკოლის შემდგომი ცხოვრება და დღის გაგრძელება უმნიშვნელოვანესია, რაც აუცილებელია ენერგიის აღდგენისთვის. ყველა საგანში მიცემული ერთი პროფილის ბევრი დავალება ამ ყველაფერს ხელს უშლის.

საბოლოოდ შეგვიძლია კონსესუსამდე მივიდეთ, პასუხი არა მხოლოდ დავალებების სიმცირეში, არამედ თავისუფლებაშია. წარმოიდგინეთ ბავშვი ირჩევს მოცემული საგნებიდან გამომდინარე აირჩიოს დავალება, და თავადვე შეასრულოს ის. ესეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ბავშვის როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის ჩამოყალიბებას და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, რადგან ყველაფერი მის ხელშია, დავალების შერჩევაცა და შესრულებაც. შესაბამისად სურვილისამებრ შერჩეულ დავალებას, მოტივაცია და შესრულების სურვილი ახლავს თან.

განათლება ერთ-ერთი ის საკითხია რომლის შეზღუდვასაც ახლავს გარკვეული გვერდითი მოვლენები. ბავშვებზე ორიენტირებული განათლების სისტემა დაგვიბრუნებს მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ მიიღონ განათლება და ამას დამოუკიდებლად მოახერხებენ.

http://www.trendbook.ge/ka/mecniereba/article/13299-naklebisashinaodavalebametiganathleba (შემოწმებული 12.04.2019 წ)

.

3. კვლევა

3.1 საკვლევი საკითხები

- გამოვიკვლიო მოსწავლეთა საჭიროებები საშინაო დავალებების წერის დროს
- დავადგინო მათი ინტერესები, რომელსაც გავითვალიწინებ საშინაო დავალების მიცემის დროს
- კოლეგების დახმარებით გავარკვიო რა სიხშირით და რა ტიპის დავალებები ეძლევათ
- მშობლების დახმარებით განვსაზღრო მოსწავლეების დამოკიდებულება საშინაო დავალების შესრულებაში
- გავარკვიო მშობლების ჩართულობის ხარისხი დავალების შესრულების დროს

3.2 სამიზნე ჯგუფი

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის #3 საჯარო სკოლის მე-8[2]კლასის ყველა მოსწავლე, ამავე კლასის 5 მშობელი, კლასში შემსვლელი 4 მასწავლებელი.

3.3 კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდებად გამოვიყენე რაოდენობრივი სადიაგნოსტიკო ანკეტირება, მე-8 კლასის მოსწავლეებისთვის, მათი მშობლებისთვის და მე-8 კლასში შემსვლელი მასწავლებლებისთვის, პირველადი და საბოლოო კვლევისათვის.

თვისობრივი მეთოდიდან გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუ მე-8 კლასის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, დიალოგი მე-8 კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან და კოლეგებთან (მათემატიკის მასწავლებლებთან), დაკვირვება სამიზნე ჯგუფზე.

3.4 კვლევის შედეგები

გამოკითხვის შედეგები ასეთია:

პირველადი გამოკითხვით 25 მოსწავლიდან გამოიკითხა24. მ. შ. 8 გოგონა და 16 ვაჟი.

ცხრილი 1.

გამოკითხული მოსწავლეები სულ	გოგონა	ვაჟი
24	8	16

პირველ დავალებაში: დაალაგე საყვარელი საგნები პრიორიტეტების მიხედვით, შედეგები ასე გადანაწილდა.

დიაგრამა 1.



მეორე შეკითხვას: „რა დროს უთმობ მათემატიკის საშინაო დავალების შესრულებას?(მაგ.2-3 სავარჯიშო)“ პასუხები ასე გადანაწილდა:

დიაგრამა 2.



მესამე შეკითხვაზე: „საშინაო დავალების შესრულების დროს გჭირდება თუ არა დახმარება?“ ასე გასცეს პასუხი:

დიაგრამა 3.



მეოთხე შეკითხვა: „რა ტიპის დავალებას ანიჭებ უპირატესობას?“. ამ შეკითხვაზე ასე გასცეს პასუხები.

დიაგრამა 4.



შეკითხვა მე-5. „რა დროს იწყებ გაკვეთილების მომზადებას?“ პასუხები ასეთია:

დიაგრამა 5.



მეექვსე შეკითხვაზე: „რომელი ფორმით აღიქვამ უკეთ ამოცანის პირობას მათემატიკაში?“ პასუხები ასე გადანაწილდა:

დიაგრამა 6.



მშობლების გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა მშობელმა, ხუთივე-

დედამ

მშობლების კითხვარის მიხედვით შედეგები ასეთია

პირველ კითხვაზე: „ხალისიანად ასრულებს თუ არა თქვენი შვილი მათემატიკის საშინაო დავალებას?“ , პასუხები ასე გადანაწილდა:

დიაგრამა 7.



მეორე კითხვაზე : „ თხოულობს თუ არა დახმარებას საშინაო დავალების შესრულების დროს?“ მშობლებმა ასე უპასუხეს:

დიაგრამა 8.



მესამე კითხვაზე : „დაკავებული თუ არა თქვენი შვილი არაფორმალური განათლებით?“, მშობლებმა ასე უპასუხეს:

დიაგრამა 9.



მეოთხე შეკითხვა: „აკონტროლებთ, მათემატიკის დავალება შეასრულა თუ არა?“. პასუხები ასე გადანაწილდა:

დიაგრამ 10.



მეხუთე შეკითხვას: „რით არის დაკავებული თავისუფალ დროს თქვენი შვილი?“ , პასუხები ასე გასცეს:

დიაგრამა 11.



3.5 მონაცემთა ანალიზი

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი 46% დაინტერესებული მათემატიკის საგნით, მაგრამ საშინაო დავალების შესრულებას გულგრილად ეკიდებიან. მე-8 კლასის მათემატიკის დავალებები მოითხოვს დაფიქრებას, გააზრებას და გაანალიზებას, რისთვისაც 30 წუთი საკმარისი არ არის. მოსწავლეების 54% კი ასახელებს, რომ საშინაო დავალების შესრულებას (2-3 სავარჯიშო) ანდომებს 30 წუთს.

გამოკითხულთა 75% უპირატესობას ანიჭებს დავალების წერით ფორმას. ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან, ასევე გამოკითხვითაც გაირკვა, რომ არაფორმალური განათლებით სწავლობენ სხვადასხვა საგნებს, მაგრამ არა მათემატიკას.

ინტერვიუებში გულახდილი საუბრების დროს მოსწავლეები და მათი მშობლების საუბრობენ, რომ ბავშვები დიდ დროს ატარებენ ეკრანებთან: კომპიუტერი, ტაბლეტი, ტელეფონი და ტელევიზორი, რის გამოც საკმარისი დრო აღარ რჩებათ სრულყოფილი საშინაო დავალების შესასრულებლად. არა აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები. მშობლების გამოკითხვით, საშინაო დავალების წერას წერენ ხალისიანად, თუმცა ითხოვენ დახმარებას.

მეორე ასევე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც მოსწავლეები საუბრობენ ისაა, რომ საკლასო აქტივობაში ჩართული არიან აქტიურად, მაგრამ სახლში დავალების წინაშე როდესაც აღმოჩნდებიან, დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მისი შესრულება. თვლიან, რომ საკმაოდ რთულია მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალება, ამიტომ დახმარებას ითხოვს მოსწავლეთა 75 %, არ სჭირდება დახმარება 25%-ს.

4. ინტერვენციების დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და ანალიზი

სისტემატიურად აღვრიცხავდი მოსწავლეების მიერ შესრულებული საშინაო დავალების ხარისხს. აღრიცხვა თვალნათლივ ასახავდა ცვლილებას ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ.

მეორე ეტაპის მოსამზადებლად შევიმუშავე კითხვარების ფორმები, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის და ამ კლასში შემსვლელი მასწავლებლებისთვის და ჩავატარე გამოკითხვა. ცდის პირები იყვნენ მე-8 კლასის მოსწავლეები, რომლებიც კვლევის პერიოდში ავსებდნენ კითხვარებს ანონიმურობის სრული დაცვით, თავისუფალ რეჟიმში, შეუზღუდავად. წინასწარ ვესაუბრე საკვლევი პრობლემის აქტუალობაზე და აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად გავატარე შემდეგი ღონისძიებები: ანკეტური გამოკითხვა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, მე-8 კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან და სიღრმისეული ინტერვიუ ასევე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კვლევის ეს ეტაპი ჩატარდა 2019 წლის თებერვალ-მარტში. ამავე პერიოდში შევუთანხმდი ზოგიერთი საგნის მასწავლებელს ,(ისტორია, ქართული , რუსული, ინგლისური), რომ რეგულარულად, აღერიცხათ მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულების სიხშირე და ხარისხი, აგრეთვე დაკვირვებოდნენ როგორი ტიპის დავალებებს ასრულებდნენ მოსწავლეები ხალისით. ხოლო ნაწილს ვთხოვე, დავსწრებოდი გაკვეთილზე (პირველ ან ბოლო ფაზაზე -საშინაო დავალების მიცემა-შემოწმების დროს), როგორც კოლეგა მასწავლებელი, რათა დამედგინა რა იყო გასაუმჯობესებელი და რა შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული პრობლემის გამომწვევი

მესამე ეტაპი მოიცავდა მიღებული მონაცემების დამუშავებას პერიოდულად, გამოკითხვების შემდეგ.

კვლევის პირველადი მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მე-8 კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და ამ კლასში შემსვლელი მასწავლებლები, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ საშინაო დავალების წერას მოსწავლეების გარკვეული ნაწილი გულგრილად ეკიდებოდა. ამას ადასტურებს აღრიცხვის მონაცემებიც. თუმცა ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვას ასახელებდნენ, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა კვლევას.

დაისახა სამოქმედო გეგმა და ეტაპობრივად დაიწყო მისი განხორციელება.

- შეხვედრა მე-8 კლასის მოსწავლეების მშობლებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუ.
- ჩაღრმავებული ინტერვიუ მე-8 კლასის მოსწავლეებთან.

- პრობლემის გამომწვევი შესაძლო ფაქტორების დადგენა.
- შეხვედრა მე-8 კლასში შემსვლელ და მათემატიკის მასწავლებლებთან.
- განმეორებით კვლევა
- რეკომენდაციები და დასკვნები

იმ მოსწავლეების დიდი ჯგუფი რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევა, ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს ზეპირი განმარტებისას ძირითადად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ გაკვეთილზე ახალ მასალას იგებენ, მაგრამ სახლში დავალება როგორ დაწერონ, არ იციან. ბავშვები საუბრობენ, რომ კლასში შესრულებული დავალებები და საშინაო დავალება ერთმანეთისგან განსხვავდება. (ერთნაირი არ არის). დავიწყე საშინაო დავალების შესრულების ხარისხის აღრიცხვა. აღრიცხვის შედეგები იყო ასეთი :

საშინაო დავალების შესრულების ხარისხის აღრიცხვა (ინტერვენციამდე)

. ცხრილი N2

საშინაო დავალება		
შესრულებულია სრულყოფილად	შესრულებულია ნაწილობრივ	არა აქვს შესრულებული
12%	64%	24%

ცხრილი აღრიცხავს მარტის თვის საშუალო მონაცემებს პროცენტებში.

გამოკითხვებიდან და აღრიცხვის შედეგებიდან გამომდინარე ძირითად პრობლემად მივიჩნიე დავალების სირთულე. გადავწყვიტე დავალებად მიმეცა სავარჯიშოები მხოლოდ იმ ტიპის, რომელსაც კლასში კარგად გაიგებდნენ. თუ ასეთ დავალებები წიგნში საკმარისი არ იქნებოდა, მოსწავლეები თვითონ მოიფიქრებდნენ უკვე შესრულებული დავალებების მსგავსს.

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შემდეგ ასევე გამოიკვეთა კიდევ ართი მნიშვნელოვანი პრობლემა. როგორც გაირკვა მოსწავლეთა უმეტესობა დიდ დროს ატარებს თანამედროვე ტექნოლოგიებთან: ტელეფონი, კომპიუტერი. ინტერვენციის დაწყების წინ შევხვდი კოლეგებს. ვისაუბრეთ როგორ შეიძლება გადამეჭრა პრობლემა მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. შევქმენით სოციალურ ქსელში ჩვენი კლასის ჯგუფი. მოსწავლეებს ვთხოვე საშინაო დავალების შესრულების დროს დღის ნებისმიერ მონაკვეთში მოეწერათ და დახმარება ეთხოვათ ნებისმიერ ამოცანის ამოხსნის დროს. უმნიშვნელოდ, თუნდაც მაინც გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. მიუხედავად ამისა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი არ ერთვებოდა ამგვარ დახმარებაში. დავიწყე მოსწავლეთა ჩართულობა საშინაო დავალების აღრიცხვაში, რასაც დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ.

ინტერვენციების განხორციელების შედეგ ჩავატარე განმეორებით კვლევა, ასევე გავაგრძელე საშინაო დავალების წერის ხარისხის აღრიცხვა. განმეორებითი კვლევის მიზანი იყო ინტერვენციის განხორციელების შედეგად მიღებული ცვლილებების შეფასება. მაისის თვის ბოლოს შედეგები ასთი იყო: საშინაო დავალების შესრულების ხარისხის აღრიცხვა (ინტერვენციის შემდეგ) . ცხრილი N3

საშინაო დავალება		
შესრულებულია სრულყოფილად	შესრულებულია ნაწილობრივ	არა აქვს შესრულებული
20%	72%	8%

ინტერვენციამ გაამართლა, რადგან საგრძნობლად იკლო იმ ბავშვების ხვედრითმა წილმა, რომლებიც დავალებებს საერთოდ არ ასრულებდნენ და მოიმატა იმ ბავშვების ხვ. წილმა, რომლებიც სრულყოფილ დავალებებს წერდნენ.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

საშინაო დავალების მიცემის დროს სასურველია რამდენიმე დეტალი გავითვალისწინო:

- საშინაო დავალება უნდა იყოს დაძლევადი
- მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული
- მრავალფეროვანი
- მასწავლებელი მუდმივად უნდა იკვლევდეს და ითვალისწინებდეს მოსწავლეების ინტერესებს
- მოსწავლეები მუდმივად უნდა იღებდნენ მასწავლებლისაგან უკუკავშირს.
- უნდა ხდებოდეს დავალების შესრულების სისტემატიური კონტროლი

6. ბიბლიოგრაფია

[1] maswavlebeli.ge https://edu.aris.ge/news/sashinao-davaleba-dasdja-ar-aris-rekomendaciebi-mshoblebsa-da-maswavleblebs.html

[2] გზამკვლევი 2016წ I-II ნაწილი

[3] https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efeqturia-saSina-davaleba.html

[4] http://www.trendbook.ge/ka/mecniereba/article/13299-naklebisashinaodavalebametiganathleba

[5] https://edu.aris.ge/news/saWiroa-Tu-ara-saSinao-davaleba.html

7. დანართები

1. *კითხვარი მოსწავლეებისათვის*

სქესი: მდედრობითი ☐ მამრობითი ☐

1. დაალაგეს საყვარელი საგნები პრიორიტეტების მიხედვით

◯ ქართული

◯ მათემატიკა

◯ უცხო ენა

◯ ისტორია

◯ გეოგრაფია

◯ ფიზიკა

◯ ქიმია

◯ ბიოლოგია

◯ მუსიკა

◯ ხელოვნება

2. რა დროს უთმობ მათემატიკის საშინაო დავალებების შესრულებას(მაგ:2-3 სავარჯიშოს)

ა)10-15 წთ ბ)30 წთ გ)1 სთ დ)1სთ_ზე მეტი

3. საშინაო დავალებების შესრულების დროს გჭირდება დახმარება

ა)ყოველთვის ბ)პერიოდულად გ)იშვიათად დ)არასდროს

4. რა ტიპის დავალებებს ანიჭებ უპირატესობას?

ა)წერით ბ)კეთებით გ)დიაგრამით დ)პროექტით ე)სხვადასხვა(ჩაწერე რომელით) _____

5. რა დროს იწყებ გაკვეთილების მომზადებას?

ა)3-4 საათზე ბ)5-6 ან 7 საათზე გ)8-9 ან 10 საათზე დ)11-12 საათზე ე)სხვადასხვა დროს

6. რომელი ფორმით აღიქვამთ უკეთ პირობებს მათემატიკაში?

ა) ჩემი წაკითხულით ბ)სხვისი წაკითხულით გ)მონაყოლით დ)ნახატით

ე)სიტუაციურად ვ)კეთებით

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის

2. კითხვარი მშობლებისთვის

სქესი: მდედრობითი ☐ მამრობითი ☐

1. ხალისიანად ასრულებს თუ არა თქვენი შვილი მათემატიკის საშინაო დავალებას?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად დ)არასოდეს ე)არ ვიცი

2. თხოულობს თუ არა დახმარებას საშინაო დავალებების შესრულების დროს?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად დ)არასოდეს ე)არ ვიცი

3. დაკავებულია თუ არა არაფორმალური განათლებით (დადის დამატებით მათემატიკის წრეზე)

ა)დიდიხანი ბ)საჭირო შემთხვევაში გ)არა დ)არ საჭიროებს

ე)სხვა_____

4. აკონტროლებთ , მათემატიკის დავალება შეასრულა თუ არა?

ა)ყოველთვის ბ) ხშირად გ)იშვიათად დ)ვერ ვაკონტროლებ

ე)სხვა_____

5. რით არის დაკავებული თავისუფალ დროს?

ა)კითხულობს ბ)სპორტული აქტივობით გ)ფილმის ყურებით

დ)კომპიუტერით

(ტელეფონი) ვ)სხვა_____

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის

4. ***კითხვარი მასწავლებლებისთვის***

https://forms.office.com/Pages/DesignPage.aspx?origin=shell#Analysis=true&FormId=POnSYT1CtEOPIxWAjQZUi64duPLcYtDurhtFW2TZldUM01IVjdTMUlMS0FMMEFCVkdSTkRORzI4RS4u

რეფლექსია

დაგეგმილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დავიწყე სასწავლო წლის მეორე სემესტრში. კვლევის განხორციელებას დასჭირდა 5-6 თვე და მოიცავდა 2018-19 სასწავლო წლის მე-2 სემესტრს იანვრიდან - ივნისამდე. პირველ ეტაპზე შევიმუშავე კვლევის გეგმა, გავეცანი შესაბამის ლიტერატურას, რომელიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლეოდა როგორც საქართველოს, ასევე მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესახებ. კვლევის პროცესში სურვილი მქონდა ჩამეტარებინა მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის, როგორც პირველადი ასევე შუალედური და საბოლოო გამოკითხვები, მაგრამ დროის სიმცირის გამო შუალედური კვლევისთვის საკმარისი დრო აღარ დამრჩა. კვლევის დროს განხორციელებული ინტერვენციები ეყრდნობოდა შესწავლილ ლიტერატურას, კოლეგების რჩევებს და გამოკითხვების ანალიზს.

კვლევის დროს მრავალი მიმართულება გამოიკვეთა, რომლებიც ასევე საგულისხმო და ყურადსაღები აღმოჩნდა. მაგალითად მოსწავლეთა სოციალური ფონი, მშობლების მიდგომები სასწავლო პროცესებისადმი, საშინაო დავალების ხარისხის შემოწმების ფორმები. ამ ყველაფრის გათვალისწინება კვლევას უფრო სრულყოფილს გახდიდა.

ახალი სასწავლო წლიდან ვგეგმავ კვირის ერთ დღეს დავაწყვილო მათემატიკის გაკვეთილები, მოსწავლეები დავარეგისტრირო „ხანის აკადემიაში“, სადაც იმუშავებენ ხალისიანად, გაიაქტიურებენ ცოდნას. ჩემი კოლეგა - მათემატიკის მასწავლებლები წარმატებით იყენებენ ამ რესურს და საუბრობენ, რომ მოსწავლეები დიდი ხალისით და მონდომებით ერთვებიან სასწავლო პროცესში, მიუხედავად სხვადსხვა აკადემიური მოსწრებისა. „ხანის აკადემია“ საშუალებას იძლევა მოსწავლეს შესთავაზოს ნებისმიერი სირთულის ამოცანა. თუ მას ამის შესრულება არ შეუძლია, იქვე მიიღოს თეორიული ცოდნა, ლექციის სახით ან ნახოს ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორ კეთდება მსგავსი ტიპის დავალებები. ამის შემდეგ თვითონ შეეცდება, შეასრულოს მსგავსი დავალება. ასეთი მუშაობით მოსწავლე მიეჩვევა სწავლების ისეთ ფორმას, რომლის დრისაც მასწავლებლისაგან კი ელოდება და ითხოვს დახმარებას, არამედ თვითონ არის დაინტერესებული , ეძებს, ცდილობს გაერკვეს, უსმენს სხვადსხვა ფორმით ახსნას: თეორიულად, პრაქტიკული კეთებით, აკვირდება და ამის შემდეგ ასრულებდეს დავალებებს. ასეთი ფორმით დასწავლილი მასალა

მოსწავლეს დარჩება ხანგრძლივ მეხსიერებაში და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მას პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის დროს

ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ თემაზე მუშაობა, თუმცა ვთვლი, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ახდენდეს დაკვირვებას და პრობლემური საკითხების შესწავლას. დაკვირვებას ამ მიმართულებით გავაგრძელებ ახალი სასწავლო წლიდან.

კვლევის შედეგების გაზიარება. კვლევის შედეგების გაზიარების მიზნით შევხვდი კოლეგებს - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის N3 საჯარო სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს. წარვუდგინე პრეზენტაცია: გავაცანი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემა და მიზანი, კვლევის ეტაპები, მეთოდები, ინტერვენციები, დასკვნები და რეკომენდაციები. მნიშვნელოვანი იყო კოლეგების უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ თემა აქტუალურია, რადგან მსგავსი პრობლემა არის არა მხოლოდ მათემატიკაში, არამედ ყველა საგანში. შეხვედრა თბილ და მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა. კვლევა მოიწონეს და აღნიშნეს, რომ თემა საინტერესოდ იყო წარმოდგენილი.

გამოქვეყნებული ბმულზე: https://emis188-my.sharepoint.com/:b:/g/personal/valishvili_irma_teachers_gov_ge/Eae2xFa28p1LoPJ1WfUXnHMBBxWYkxKfNBeY7hOskt9ZGg?e=5OZwfj